საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს სხდომის

ოქმი №286

30 დეკემბერს 2014 წელი, თბილისი, საქართველო

2014 წლის 30 დეკემბერს 09:30 სთ-ზე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ადმინისტრაციულ კორპუსში (კოსტავას 68) გაიმართა სამეურვეო საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები: გრიგოლ გოგელია, ქეთევან მსხილაძე, ნათელა სახოკია, ლელა გაფრინდაშვილი, მარინა მუსხელიშვილი და ალექსანდრე ვახტანგოვი. სხდომას არ ესწრებოდა გიორგი კოხრეიძე.მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 28 მუხლის I პუნქტის თანახმად, საბჭო უფლებამოსილი იყო გაემართა სხდომა.

სხდომამ განიხილა შემდეგი საკითხები:

1.სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცება.

2. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ აჭარის ტელევიზიის და რადიოს 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცება.

3. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2014 წლის კორექტირებული ბიუჯეტის პროექტის დამტკიცება.

4. სსიპ „საზოგადოერვი მაუწყებლის“ არსებული პროგრამული პრიორიტეტების ვადის გაგრძელების შესახებ.

5. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2014 წლის II და III კვარტლის ანგარიშის მოსმენა.

6. მიმდინარე საკითხები.

სამეურვეო საბჭოს სხდომას საბჭოს თავმჯდომარე გრიგოლ გოგელია უძღვებოდა. მიმდინარე სხდომას საბჭოს წევრების გარდა, ესწრებოდნენ მაუწყებლის გენერალური დირექტორი გიორგი ბარათაშვილი და მისი მოადგილე კახაბერ სონიშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა დღის წესრიგის წარდგენით გახსნა. მან აღნიშნა, რომ ყველა ის საკითხი, რომელიც შესულია მიმდინარე სხდომის დღის წესრიგში, საბჭოს წევრების მიერ განიხილულია სამუშაო შეხვედრებზე, რომლებიც სისტემატიურად იმართება. დღევანდელ სხდომაზე წევრების მხრიდან მოხდება, ზემოთ ხსენებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება.

პირველი საკითხი

გრიგოლ გოგელიამ აღნიშნა, რომ სამეურვეო საბჭოს სახელზე, მაუწყებლის გენ. დირექტორისგან შემოსულია წერილი, სადაც ის თანხმობას ითხოვს გამოაცხადოს მრავალწლიანი ელექტრონული ტენდერი, თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევაზე, რომლის სავარაუდო ღირებულება ცდება მაუწყებლის ბიუჯეტის 1%-ს. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30 (1) მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, მომსახურების შესყიდვა, რომელიც ცდება ბიუჯეტის 1%, საჭიროებს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს თანხმობას. გრიგოლ გოგელიამ კენჭისყრაზე დააყენა მიმდინარე სხდომის დღის წესრიგში ზემოთ აღნიშნული საკითხის შეტანა, რასაც სხდომაზე დამსწრე ექვსივე საბჭოს წევრი დაეთანხმა.

საკითხზე მსჯელობა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაიმართა, რისი დასრულების შემდგომ საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შემდეგი:

> მიეცეს თანხმობა სსიპ ‘‘საზოგადოებრივი მაუწყებლის‘‘ გენერალურ დირექტორს, სსიპ ‘‘საზოგადოებრივი მაუწყებლის‘‘ მიერ საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევასთან დაკავშირებული მომსახურების შესასყიდად გამოაცხადოს მრავალწლიანი ელექტრონული ტენდერი (რომლის სავარაუდო ღირებულებაა – 576 000 (ხუთას სამოცდათექვსმეტიათასი) ლარი და ტენდერში გამარჯვებულ პირთან გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება.

საკითხს სხდომაზე დამსწრე ექვსივე წევრმა დაუჭირა მხარი (გადაწყვეტილება ოქმს თან ერთვის).

მეორე საკითხი

გრიგოლ გოგელიამ, მეორე საკითხთან დაკავშირებით მოკლე ინფორმაციის გაკეთება მაუწყებლის გენ. დირექტორს და მის მოადგილეს კახა სონიშვილს სთხოვა. მაუწყებლის 2014 წლის ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ მაუწყებლის გენ.დირექტორის მოადგილემ ფინანსების დარგში კახა სონიშვილმა ისაუბრა. გრიგოლ გოგელიამ დამატებით აღნიშნა, რომ ეს საკითხი სამეურვეო საბჭოს წევრებს მაუწყებლის მენეჯმენტის წარმომადგენლებთან ერთად, დეტალურად სამუშაო შეხვედრებზე აქვთ გავლილი. მაუწყებლის 2014 წლის ბიუჯეტში განსახორციელებები ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მოსმენის შემდგომ:

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სხდომაზე მაუწყებლის მენეჯმენტის მიერ წარმოდგენილი სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2014 წლის ბიუჯეტის კორექტირების საკითხი, რომელსაც სხდომაზე დამსწრე ექვსივე წევრმა დაუჭირა მხარი. (გადაწყვეტილება ოქმს თან ერთვის).

მესამე საკითხი

მესამე საკითხი, რის შესახებაც საბჭოს წევრებმა იმსჯელეს, ეხებოდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2013-2014 წლების პროგრამული პრიორიტეტების მოქმედების ვადის გაგრძელებას. საბჭოს წევრები საკითხზე მსჯელობის შედეგად, შეთანხმდნენ შემდეგზე:

სსიპ ‘‘საზოგადოებრივ მაუწყებელში‘‘ მიმდინარე გარდაქმნის პროცესთან დაკავშირებით, სსიპ ‘‘საზოგადოებრივი მაუწყებლის‘‘ მიერ ხორციელდება გარკვეული ღონისძიებები, კერძოდ, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში სსიპ ‘‘საზოგადოებრივი მაუწყებლის‘‘ დაკვეთით ჩატარდა სოციოლოგიური კვლევა, რომლის პირველადი შედეგებიც წარმოდგენილი იქნა 2014 წლის დეკემბრის თვეში (ამასთან, საბოლოო შედეგები სავარაუდოდ წარმოდგენილი იქნება 2015 წლის იანვარში). გარდა ამისა, მიმდინარეობს მუშაობა საზოგადოებრივი მაუწყებლის სტრატეგიაზე, რომელიც ამ ეტაპისთვის არ არის დასრულებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამული პრიორიტეტების განმსაზღვრელი ძირითადი პრინციპები სამეურვეო საბჭოს მიერ წარდგენილი იქნა სტრატეგიის შემმუშავებელი ჯგუფისთვის, რაც საბოლოოდ ასახვას ჰპოვებს სტრატეგიაში.

შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ სსიპ ‘‘საზოგადოებრივი მაუწყებლის‘‘ პროგრამული პრიორიტეტები უნდა განისაზღვროს აღნიშნული კვლევების და საზოგადოებრივი მაუწყებლის სტრატეგიის საფუძველზე, სსიპ ‘‘საზოგადოებრივი მაუწყებლის‘‘ სამეურვეო საბჭოს მიერ ახალი პროგრამული პრიორიტეტების დამტკიცებამდე, მაუწყებლობა 2015 წელს განხორციელდეს სსიპ ‘‘საზოგადოებრივი მაუწყებლის‘‘ 2013-2014 წლების პროგრამული პრიორიტეტების გათვალისწინებით.

მეოთხე საკითხი

რომელიც განიხილეს საბჭოს წევრებმა, იყო სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2015 წლის ბიუჯეტის პროექტი, გრიგოლ გოგელიამ გააკეთა განმარტება, მაუწყებლის 2015 წლის ბიუჯეტის პროექტი შედგება ორი ნაწილისაგან, პირველი - ეს არის მაუწყებლის გენ. დირექტორის მიერ წარმოდგენილი სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2015 წლის ბიუჯეტის პროექტი და მეორე არის სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ აჭარის ტელევიზიის და რადიოს 2015 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც მიმდინარე სხდომამდე რამოდენიმე ხნით ადრე აჭარის ტელევიზიის ხელმძღვანელობამ განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოუდგინა სამეურვეო საბჭოს.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ აჭარის ტელევიზიის და რადიოს 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ მოკლე ინფორმაცია გააკეთა აჭარის ტელევიზიის ფინანსურმა მენეჯერმა ეკა შაინიძემ, რომელიც სხდომას მობილური ტელეფონის საშუალებით ერთვებოდა. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აჭარის 2015 წლის ბიუჯეტის პროექტზე საბჭოს წევრებმა აჭარის ტელევიზიის ხელმძღვანელობასთან ერთად არა ერთხელ იმსჯელეს სამუშაო შეხვედრებზე და დღეს კითხვები არ აქვთ ქალბატონ ეკასთან. გრიგოლ გოგელიამ მადლობა გადაუხადა აჭარის ტელევიზიის წარმომადგენელს სხდომაზე ჩართვისთვის და 2014 წელს გაწეული სამუშაოსთვის, საბჭოს წევრებმა მიულოცეს ქალბატონ ეკას დამდეგი 2015 წელი და მილოცვა გადასცეს აჭარის ტელევიზიის და რადიოს ყველა თანამშრომელს.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის ნაწილში ინფორმაცია გიორგი ბარათაშვილმა და კახა სონიშვილმა გააკეთეს. სამეურვეო საბჭოს

წევრებს მიმდინარე სხდომაზე გენ. დირექტორის მიერ წარმოდგენილი მაუწყებლის 2015 წლის ბიუჯეტის პროექტი, სხდომამდე გასაცნობად, ელექტრონულ მისამართებზე ჰქონდათ გადაგზავნილი.

გიორგი ბარათაშვილმა აღნიშნა, რომ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2015 წლის ბიუჯეტის, წარმოდგენილი სახით დამტკიცების შემთხვევაში, მისი კორექტირება ნებისმიერ დროს იქნება შესაძლებელი, როცა მზად იქნება მაუწყებლის სტრატეგია და ახალი პროგრამული პრიორიტეტები, ბიუჯეტში განხორციელდება შესაბამისი ცვლილებები.

კახა სონიშვილმა აღნიშნა: ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მომავალ წელს რეფორმების მუხლში, აკუმულირდება საკმაოდ დიდი თანხა, შესაბამისად, შესაძლებელი იქნება ამ თანხის ახალი მიზნებისთვის და რეფორმებისთვის გამოყენება. 2014 წლის ბიუჯეტიდან დაზოგილი თანხა შეადგენს 5,000,000 მილიონ ლარზე მეტს.

გიორგი ბარათაშვილმა აღნიშნა, რომ ეს წელი შეიძლება შეფასდეს დადებითად, არ აგვიღია სესხი, პირიქით, მოხდა თანხების დაზოგვა მომავალი რეფორმებისთვის, დაიფარა ძირითადი ვალები.

მაუწყებლის გენ. დირექტორის და მისი ფინანსური მოადგილის მიერ მაუწყებლის 2015 წლის ბიუჯეტის პროექტზე ინფორმაციის დასრულების შემდგომ, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ და წევრებმა წარმოდგენილ საკითხთან მიმართებაში გამოთქვეს საკუთარი მოსაზრება:

მარინა მუსხელიშვილმა აღნიშნა, რომ ის ხმას არ აძლევს მაუწყებლის 2015 წლის ბიუჯეტის პროექტს, ბოდიში მოუხადა აჭარის ტელევიზიას, რომლის ბიუჯეტიც მიბმულია მაუწყებლის მთლიან ბიუჯეტზე და ეს არის კანონის ხარვეზი, რომელიც მომავალში უნდა აღმოიფხვრას. მარინა მუსახელიშვილმა გააკეთა მოკლე განმარტება, თუ რატომ მიიღო ეს გადაწყვეტილება.

საბჭოს წევრები და თავმჯდომარე ნაწილობრივ დაეთანხმნენ მარინა მუსხელიშვილის პოზიციას, რის შემდეგაც საბჭოს ყველა წევრმა დააფიქსირა საკუთარი პოზიცია და შეთანხმდნენ, რომ ბიუჯეტს მარინა მუსხელიშვილის გარდა სხდომაზე დამსწრე ოთხივე წევრი და საბჭოს თავმჯდომარე მხარს დაუჭერს, დათქმით, რომ მომავალში მოხდება მისი კორექტირება ახალ სტრატეგიასთან და პრიორიტეტებთან შესაბამისობაში. მარინა მუსხელიშვილის პოზიციაც თითქმის ანალოგიური იყო, რაც წევრების იმ სხვაობით, რომ მან არ დაუჭირა მხარი ბიუჯეტის დამტკიცებას სტრატეგიის და ახალი პრიორიტტების არ არსებობის გამო.

საკითხზე მსჯელობის და საკუთარი პოზიციების გამოხატვის შემდგომ, გრიგოლ გოგელიამ კენჭისყრაზე დააყენა მიმდინარე სხდომაზე მაუწყებლის მენეჯმენტის მიერ წარმოდგენილი სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2015 წლის ბიუჯეტის პროექტი რომელსაც სხდომაზე დამსწრე ხუთმა წევრმა დაუჭირა მხარი, მარინა მუსხელიშვილმა კენჭისყრაზე დაყენებულ საკითხს მხარი არ დაუჭირა. (გადაწყვეტილება ოქმს თან ერთვის).

საბჭოს წევრებმა სხდომაზე დამსწრე გენ. დირექტორს და მის მოადგილეს კახა სონიშვილს მიმართეს და აღნიშნეს, რომ ყველა საკითხზე მუშაობას აქვს თავისი გონივრული ვადა, და სტრეტეგია უკვე დასრულებული სახით ყველაზე გვიან 2015 წლის იანვრის ბოლოს უნდა ქონდეს სამეურვეო საბჭოს, იმის გათვალისწინებით, რომ საბჭოსაც ჭირდება დრო დოკუმენტზე მუშაობისთვის.

გიორგი ბარათაშვილმა სხდომა დატოვა.

მეხუთე საკითხი

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2014 წლის III და IV კვარტლის ანგარიში იყო, საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ბოლო პერიოდში სამუშაო შეხვედრებზე დეტალურად განიხილებოდა ყველა ის საკითხი, რომელიც დღევანდელ სხდომაზე უკვე ერთიანი სახით არის წარმოდგენილი, სამუშაო შეხვედრებზე, რომელსაც მაუწყებლის მენეჯმენტის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, საბჭოს მხრიდან იყო გარკვეული შენიშვნები, როგორც ანგარიშის შინაარსზე, ასევე მომზადების ფორმაზე, რაც ნაწილობრივ გაზიარებულია და იმედია მომავალში უფრო სრულყოფილ სახეს მიიღებს.

შემდგომ, გრიგოლ გოგელიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა, საბჭოს შემდეგი სხდომის თარიღი, დრო და დღის წესრიგი საბჭოს წევრებს დამატებით ეცნობებათ (2014 წლის 30 დეკემბრის საბჭოს სხდომის სრული ვიდეო ჩანაწერი განთავსებულია მაუწყებლის ვებ-გვერდზე: http://gpb.ge/BoardDecision.aspx?LangID=1).

საბჭოს თავმჯდომარე		გრიგოლ გოგელია
სხდომის მდივანი		ირინე ზაქარიაშვილი